USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

საჯარო დისკუსია სახელმწიფო შესყიდვების თემაზე

2016 წლის 15 აპრილს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტმა „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამართეს საჯარო განხილვა ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების სფეროს თემატიკაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ ბიზნესსაზოგადოების, არასამთავრობო სექტორისა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ ისაუბრა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებულ რეფორმებზე და დაგეგმილ ინოვაციებზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ კახა დემეტრაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია თემაზე: „ახალი ინიციატივები - დიალოგი ბიზნესსაზოგადოებასთან“. პრეზენტაციაში განხილული იყო სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებული ცვლილებები და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დანერგილი სიახლეები. ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელობასა და როლზე ქვეყანაში ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარების საკითხებში, აგრეთვე, სამომავლო გეგმებზე.

ღონისძიებაზე გაიმართა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ახალი ელექტრონული სერვისებისა და ვებსაიტის მიმოხილვა. პრეზენტაციას გაუძღვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი დავით ჯაიანი.

შეხვედრამ აქტიური დისკუსიის რეჟიმში ჩაიარა. ბიზნესსაზოგადოების წარმომადგენლებმა მათთვის საინტერესო ბევრი საკითხი წამოჭრეს. მიიღეს ამომწურავი პასუხები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელთაგან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აგრძელებს კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, პრობლემათა იდენტიფიცირებისა და მათი აღმოფხვრის გზების დასახვის მიზნით